

An aerial photograph of four model airplanes on a paved runway. The runway has white and pink markings. The airplanes are: a blue biplane at the top, a red monoplane in the middle-left, a white monoplane in the middle-right, and another blue biplane at the bottom. The text is overlaid on a semi-transparent white band across the center of the image.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

პროფესიული განათლება

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო
ექსპლუატაცია (CPL-A)
(ინგლისურენოვანი პროგრამა)

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო
ექსპლუატაცია (CPL-H)
(ინგლისურენოვანი პროგრამა)

საჰაერო ხომალდების ტექნიკური
მომსახურება (B1.1)
(ინგლისურენოვანი პროგრამა)

საჰაერო ხომალდების ტექნიკური
მომსახურება (B2)
(ინგლისურენოვანი პროგრამა)

ბაკალავრიატი

საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო
ექსპლუატაცია (კომერციული
პილოტი)
(პროგრამას გააჩნია
ინგლისურენოვანი ანალოგი)

საჰაერო ხომალდების ტექნიკური
ექსპლუატაცია
(პროგრამას გააჩნია
ინგლისურენოვანი ანალოგი)

საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემების
ტექნიკური ექსპლუატაცია

ინფორმაციული სისტემები ავიაციაში

საფრენი აპარატების დაპროექტება და
წარმოება

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
(პროგრამას გააჩნია
ინგლისურენოვანი ანალოგი)

მაგისტრატურა

საჰაერო ხომალდების ტექნიკური
ექსპლუატაცია
(პროგრამას გააჩნია
ინგლისურენოვანი ანალოგი)

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

დოქტორანტურა

საჰაერო ტრანსპორტის
ექსპლუატაცია და
ტექნოლოგიები

საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი

საინჟინრო ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

სასურველი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის სანახავად აირჩიეთ პროგრამა ცხრილიდან



ავიაცია სახელმწიფოს პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს. ძლიერი ავიაცია ქვეყნის სიძლიერისა და წინსვლის საწინდარია. სწორედ აღნიშნული გარემოება გახდა საფუძველი იმისა, რომ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ჩვენს ქვეყანაში, 1992 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე, ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნისთვის მეტად საჭირო საავიაციო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ხოლო 2005 წელს, სამთავრობო დადგენილების საფუძველზე, აღნიშნული ინსტიტუტი გამოეყო ტექნიკურ უნივერსიტეტს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტად. სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საავიაციო უნივერსიტეტმა თავისი დაარსებიდან მოკლე პერიოდში მრავალი მფრინავი და ავიასპეციალისტი მოუმზადა როგორც საქართველოს ისე სხვა ქვეყნებს. უნივერსიტეტს დღეისათვის გააჩნია თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მომავალ პროფესიონალ პილოტთა და ავიასპეციალისტთა პრაქტიკული მომზადების მიზნით, უნივერსიტეტის მფლობელობაშია ქალაქ თელავში მდებარე თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით აღჭურვილი

აეროპორტი, თვითმფრინავები Cessna-152, Aeroprakt A-22, Tecnam P2006T, Boeing 737-200, EASA-ს სტანდარტების შესაბამისი FNPT II MCC კლასის თვითმფრინავის და შვეულმფრენის სიმულატორები, კეთილმოწყობილი სპეციალიზირებული ლაბორატორიები და სხვა. უნდა აღინიშნოს რომ უნივერსიტეტს გააჩნია როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი პროგრამები რაც საშუალებას გვაძლევს, რომ პრესტიჟულ პროფესიებს დაეუფლონ, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

უნივერსიტეტში მოღვაწეობენ ღვაწლმოსილი პროფესორ მასწავლებლები, გამოცდილ მფრინავ-ინსტრუქტორთა შემადგენლობა და დარგის პროფესიონალი პერსონალი. სწორედ ყველა მათგანის უდიდესი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ჩვენს სასწავლო დაწესებულებას უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა, რაც თავის მხრივ ყველა აკადემიური დონის ავიასპეციალისტთა მომზადების უფლებას იძლევა.

უნივერსიტეტს გააჩნია 3 ფაკულტეტი: საფრენოსნო მომზადების, საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების, ასევე, უწყვეტი განათლების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრი. უნივერსიტეტს აქვს სტუდენტური გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა ქვეყნის პარტნიორ უნივერსიტეტებთან.

საავიაციო უნივერსიტეტის მთავარი პრიორიტეტია კურსდამთავრებულთა დასაქმება მიღებული პროფესიების შესაბამისად, რაც პრაქტიკულად დიდი წარმატებით ხორციელდება.

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-A)

თვითმფრინავის პილოტი

პროფესიული პროგრამა

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში 1041
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება (12 კლასი)
	ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი
	<i>ინგლისური ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტები ადგილზე ჩააბარებენ გამოცდას</i>
	პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი
	მინიმალური ასაკი 17 წელი
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელთა კომპეტენცია სრულად პასუხობს საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის სფეროში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და EASA-ს (ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს) მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL-A) კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს ერთი პილოტით საფრენად სერტიფიცირებულ თვითმფრინავზე მეთაურის რანგში. დასაქმება შესაძლებელია როგორც მცირე ასევე დიდ ავიაციაში.
დამატებითი ცნობები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უნდა ჩააბაროს თეორიული გამოცდები და აიღოს პილოტის მოწმობა. ხოლო კონკრეტულ საჰაერო ხომალდზე საფრენად აუცილებელია საჰაერო ხომალდის ტიპზე გადასწავლება.
საკონტაქტო პირი:	ტატო ლაფაური t.lapauri@ssu.edu.ge

საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL-H)

შვეულმფრენის პილოტი

პროფესიული პროგრამა

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში 1041
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება (12 კლასი)
	ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი
	<i>ინგლისური ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტები ადგილზე ჩააბარებენ გამოცდას</i>
	პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი
	მინიმალური ასაკი 17 წელი
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელთა კომპეტენცია სრულად პასუხობს საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის სფეროში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და EASA-ს (ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს) მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციაში (CPL-H) კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია იმუშაოს ერთი პილოტით საფრენად სერტიფიცირებულ შვეულმფრენზე მეთაურის რანგში. დასაქმება შესაძლებელია როგორც მცირე ასევე დიდ ავიაკომპანიაში.
დამატებითი ცნობები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უნდა ჩააბაროს თეორიული გამოცდები და აიღოს პილოტის მოწმობა. ხოლო კონკრეტულ საჰაერო ხომალდზე საფრენად აუცილებელია საჰაერო ხომალდის ტიპზე გადასწავლება.
საკონტაქტო პირი:	ტატო ლაფაური t.lapauri@ssu.edu.ge

საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)

საბაკალავრო პროგრამა

სტატუსი	აკრედიტებული
კვალიფიკაცია	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი 1041
ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები	უცხო ენა (ინგლისური; გერმანული; რუსული; ფრანგული)
	ქართული ენა და ლიტერატურა
	მათემატიკა ან ფიზიკა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების ენა	ქართული (მეოთხე სემესტრიდან საგნების შესწავლა ხდება ინგლისურ ენაზე)
პროგრამის მიზანი	<p>საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის, EASA-ს სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მიმართ დადგენილი მოთხოვნებისა (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს #216/2008 რეგულაცია, 2008.02.20. და COMMISSION REGULATION (EU) No 1178/2011, 2011.11.03, EASA Part-FCL Annex to ED Decision 2011/016/R) და „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ (საქართველოს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150) შესაბამისად და ორიენტირებულია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პროცესებისა და სისტემების შესწავლა; • საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შექმნა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; • საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების, მოვლენათა კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება;

	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პილოტის მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჯარო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა</p>	<p>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.</p> <p>პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.</p> <p>იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროა განათლების აღიარების დოკუმენტი.</p> <p>დაწესებულებებში „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150) შესაბამისად პრაქტიკული მომზადების დაწყებამდე კანდიდატი უნდა ფლობდეს პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის თანახმად დაიგეგმა და შემუშავდა საჯარო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ამ წესის თანახმად, პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა მოსაზრება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის საჯარო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი) თარიღი იანვარი 2020 თავი 4 საგანმანათლებლო პროგრამა გვერდი 10/23 ცვლილება 0 10 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საჯარო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია გამოცემა 1 SSU/02/100 შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების</p>

	<p>განხორციელების წესი, თავი 3-ის შესაბამისად). პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის მიზნებსა და სასწავლო კურსებთან. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან:</p> <p>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 182 კრედიტი საიდანაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 162 კრედიტი, (მათ შორის საფრენო პრაქტიკის სასწავლო კურსი 81 კრედიტი); • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; <p>თავისუფალი სასწავლო კურსები - 58, საიდანაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 44 კრედიტი; • თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 14.
<p>პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამა სრულ შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კომპანია ბონგის მიერ ჩატარებული კვლევიდან იკვეთება, რომ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 804 000 ახალი პილოტის მომზადება. კვლევა მოიცავს კომერციულ და ბიზნეს ავიაციას, მათ შორის შვეულმფრენების ინდუსტრიასაც. კვლევის თანახმად ევროპის ქვეყნებს დასჭირდებათ 148 000 პილოტი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს - 68 000, აზიას - 266 000, აფრიკას - 29 000.</p> <p>ასევე, საავიაციო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა საქართველოს ავიაბაზრის ანალიზი და გამოიკითხნენ დამსაქმებლები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ავიაკომპანიათა 50 პროცენტმა საიდანაც დგინდება, რომ ყოველწლიურად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს 34 სტუდენტი მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა დარგის/სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან (აქტუალობა)</p>	<p>საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას გადმოიტანოს და დანერგოს ევროპული საკანონმდებლო დოკუმენტები, მათ შორის ევროპული რეგულაცია 1178/2011 „ეკიპაჟის წევრების სერტიფიცირების წესი“. ავიაციის განვითარება ასევე წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს, რომლის დამადასტურებლადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა (მუხლი 2.6, 2.8.4), სადაც საუბარია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაზე ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი აქვს ავიაციის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა, შემუშავებულია ევროპული რეგულაცია 1178/2011-ის</p>

	<p>საფუძველზე და უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა გაცნობიერება: ბაკალავრი: 1.1 აღწერს საჭაერო ხომალდისა და სანავიგაციო კომპლექსების აგებულებას, მისი ფუნქციური სისტემების მუშაობის პრინციპებს, სამუშაო დიაპაზონს, შესაძლო ცდომილებებს და მათ მოსალოდნელი შედეგებს; 1.2 იცის საავიაციო მეტეოროლოგიის ძირითადი საფუძველები, სანავიგაციო რუკები, ფაქტიური ამინდისა და პროგნოზის საკითხების კომპლექსურად შეფასება; 1.3 აცნობიერებს პასუხისმგებლობას თავისი პროფესიული და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმების დაცვის გათვალისწინებით.</p> <p>2. უნარები ბაკალავრი: 2.1 მეთაურის ან მეორე პილოტის რანგში შეუძლია საჭაერო ხომალდის მასის, ბალანსის, საექსპლუატაციო პროცედურებისა და საფრენოსნო მახასიათებლების გამოთვლით და აერონავიგაციური გარემოს გათვალისწინებით უსაფრთხო ფრენების შესრულება; 2.2 აფასებს საჭაერო ხომალდის, საავიაციო ძრავებს, ფუნქციური სისტემებს, რადიოელექტრონული და საპილოტაჟო-სანავიგაციო კომპლექსებს და ახდენს მათ უსაფრთხო საფრენოსნო ექსპლუატაციას; 2.3 აფასებს ფრენის დროს შექმნილ, როგორც სტანდარტულ, ასევე განსაკუთრებულ სიტუაციებს და იღებს სწრაფ, გონივრულ და სწორი გადაწყვეტილებებს, მათ შორის იყენებს საჭაერო მოძრაობის მეთვალყურესთან რადიოკომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის საჭირო ფრაზეოლოგიას.</p> <p>3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ბაკალავრი: 3.1 საფრენოსნო გარემოს ანალიზის საფუძველზე შეუძლია მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და ფრენის ნებისმიერ ეტაპზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ფრენის უსაფრთხოდ შესრულებას კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში; 3.2 ფლობს ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტის თვისებებს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებისა და ბორტზე მყოფ მგზავრთა მიმართ.</p>
<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>დასაქმების სფერო მოიცავს სამოქალაქო და სახელმწიფო ავიაციის ისეთ სტრუქტურებს, როგორცაა: ავიაკომპანიები, თავდაცვის სამინისტროს საავიაციო სამხედრო ნაწილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს</p>

	<p>სპეციალური საავიაციო ქვედანაყოფი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო და სხვა საავიაციო საწარმოები. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ისეთ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება საჰაერო ხომალდების მართვის ბაკალავრის კვალიფიკაცია.</p>
<p>პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტების შესრულებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, პილოტ-ინსტრუქტორები და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კერძოდ: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების, ელ-ტექნიკისა და ელექტრონიკის, რადიონავიგაციის, რადიოკავშირის და რადიოლოკაციის, საავიაციო ძრავების, საჰაერო ხომალდების ფუნქციური სისტემების, საჰაერო ხომალდების კონსტრუქციების თანამედროვე ლაბორატორიები; კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები); ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია თანამედროვე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. ძირითადი პროფესიის სასწავლო კურსების შესწავლისას გამოიყენება CBT-ი. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო კურსების შესწავლას ვიზუალური დემონსტრირების საშუალებითაც. სტუდენტებს შეუძლიათ ლექციის დასრულების შემდეგ ვიდეო გაკვეთილების დამოუკიდებლად ყურება და ლექციაზე განვლილი მასალის კვლავ გადამეორება. აღსანიშნავია, რომ საფრენოსნო პრაქტიკულ მომზადებას სტუდენტები გადიან თანამედროვე აღჭურვილობის საჰაერო ხომალდებზე. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა, პროგრამის განვითარებისთვის 2019 წელს შეიძინა უახლესი, თანამედროვე ორძრავიანი თვითმფრინავი Tecnam P2006T, რომელზეც ხორციელდება სტუდენტების მომზადება. ხოლო 2023 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც 2023 წლის მეოთხე კვარტალში უნივერსიტეტი მიიღებს 3 ახალ Tecnam-ის ტიპის საჰაერო ხომალდს რითაც სრულად განაახლებს ავიაპარკს. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება FNPT II MCC და FNPT II სასწავლო სიმულატორები, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სახელსაწყო ფრენების მოსამზადებლად.</p>
<p>დამატებითი ცნობები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე</p>	<p>საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უნდა აიღოს პილოტის მოწმობა. ხოლო კონკრეტულ საჰაერო ხომალდზე საფრენად აუცილებელია საჰაერო ხომალდის ტიპზე გადასწავლება.</p>
<p>საკონტაქტო პირი:</p>	<p>ტატო ლაფაური t.lapauri@ssu.edu.ge</p>

საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)

საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	საჰაერო ხომალდის მართვის ბაკალავრი 1041
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება (12 კლასი) ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი <i>ინგლისური ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტები ადგილზე ჩააბარებენ გამოცდას</i> პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	<p>საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის, EASA-ს სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრების მიმართ დადგენილი მოთხოვნებისა (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს #216/2008 რეგულაცია, 2008.02.20. და COMMISSION REGULATION (EU) No 1178/2011, 2011.11.03, EASA Part-FCL Annex to ED Decision 2011/016/R) და „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ (საქართველოს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150) შესაბამისად და ორიენტირებულია, საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პროცესებისა და სისტემების შესწავლა; • საავიაციო სფეროს ფართო ცოდნის შექმნა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; • საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების, მოვლენათა კომპლექსური ხედვის ჩამოყალიბება და პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება; • შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პილოტის მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა

	<p>ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჭაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის სპეციალობით.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა</p>	<p>პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე.</p> <p>პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.</p> <p>იმ პირობების, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროა განათლების აღიარების დოკუმენტი.</p> <p>B2 ან უფრო მაღალ დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ILTS ან TOEFL-ის შესაბამისი დონის სერტიფიკატი. სერტიფიკატის ვერ წარმოდგენის შემთხვევაში უნივერსიტეტი აწყობს შესაბამის ენის გამოცდას.</p> <p>დაწესებულებებში „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №150) შესაბამისად პრაქტიკული მომზადების დაწყებამდე კანდიდატი უნდა ფლობდეს პილოტის 1-ლი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის თანახმად დაიგეგმა და შემუშავდა საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა მხარემ. ამ წესის თანახმად, პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა მოსაზრება, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (პილოტი) თარიღი იანვარი 2020 თავი 4 საგანმანათლებლო პროგრამა გვერდი 10/23 ცვლილება 0 10 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი საჭაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია გამოცემა 1 SSU/02/100 შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები,</p>

	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. (უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, თავი 3-ის შესაბამისად). პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის მიზნებსა და სასწავლო კურსებთან. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან:</p> <p>ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 182 კრედიტი საიდანაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 162 კრედიტი, (მათ შორის საფრენო პრაქტიკის სასწავლო კურსი 81 კრედიტი); • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი; <p>თავისუფალი სასწავლო კურსები - 58, საიდანაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 39 კრედიტი; • თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 19.
<p>პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამა სრულ შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. კომპანია ბონგის მიერ ჩატარებული კვლევიდან იკვეთება, რომ მომდევნო ოცი წლის განმავლობაში ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 804 000 ახალი პილოტის მომზადება. კვლევა მოიცავს კომერციულ და ბიზნეს ავიაციას, მათ შორის შვეულმფრენების ინდუსტრიასაც. კვლევის თანახმად ევროპის ქვეყნებს დასჭირდებათ 148 000 პილოტი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს - 68 000, აზიას - 266 000, აფრიკას - 29 000.</p> <p>ასევე, საავიაციო უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა საქართველოს ავიაბაზრის ანალიზი და გამოიკითხნენ დამსაქმებლები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ავიაკომპანიათა 50 პროცენტმა საიდანაც დგინდება, რომ ყოველწლიურად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს 34 სტუდენტი მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა დარგის/სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან (აქტუალობა)</p>	<p>საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას გადმოიტანოს და დაწეროს ევროპული საკანონმდებლო დოკუმენტები, მათ შორის ევროპული რეგულაცია 1178/2011 „ეკიპაჟის წევრების სერტიფიცირების წესი“. ავიაციის განვითარება ასევე წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს, რომლის დამადასტურებლადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა (მუხლი 2.6, 2.8.4), სადაც საუბარია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაზე ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი აქვს</p>

	<p>ავიაციის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა, შემუშავებულია ევროპული რეგულაცია 1178/2011-ის საფუძველზე და უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა გაცნობიერება: ბაკალავრი: 1.1 აღწერს საჰაერო ხომალდისა და სანავიგაციო კომპლექსების აგებულებას, მისი ფუნქციური სისტემების მუშაობის პრინციპებს, სამუშაო დიაპაზონს, შესაძლო ცდომილებებს და მათ მოსალოდნელი შედეგებს; 1.2 იცის საავიაციო მეტეოროლოგიის ძირითადი საფუძვლები, სანავიგაციო რუკები, ფაქტიური ამინდისა და პროგნოზის საკითხების კომპლექსურად შეფასება; 1.3 აცნობიერებს პასუხისმგებლობას თავისი პროფესიული და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნორმების დაცვის გათვალისწინებით.</p> <p>2. უნარები ბაკალავრი: 2.1 მეთაურის ან მეორე პილოტის რანგში შეუძლია საჰაერო ხომალდის მასის, ბალანსის, საექსპლუატაციო პროცედურებისა და საფრენოსნო მახასიათებლების გამოთვლით და აერონავიგაციური გარემოს გათვალისწინებით უსაფრთხო ფრენების შესრულება; 2.2 აფასებს საჰაერო ხომალდის, საავიაციო ძრავებს, ფუნქციური სისტემებს, რადიოელექტრონული და საპილოტაჟო-სანავიგაციო კომპლექსებს და ახდენს მათ უსაფრთხო საფრენოსნო ექსპლუატაციას; 2.3 აფასებს ფრენის დროს შექმნილ, როგორც სტანდარტულ, ასევე განსაკუთრებულ სიტუაციებს და იღებს სწრაფ, გონივრულ და სწორი გადაწყვეტილებებს, მათ შორის იყენებს საჰაერო მოძრაობის მეთვალყურესთან რადიოკომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის საჭირო ფრაზეოლოგიას.</p> <p>3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ბაკალავრი: 3.1 საფრენოსნო გარემოს ანალიზის საფუძველზე შეუძლია მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და ფრენის ნებისმიერ ეტაპზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ფრენის უსაფრთხოდ შესრულებას კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში; 3.2 ფლობს ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტის თვისებებს საფრენოსნო ეკიპაჟის წევრებისა და ბორტზე მყოფ მგზავრთა მიმართ.</p>

<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>დასაქმების სფერო მოიცავს სამოქალაქო და სახელმწიფო ავიაციის ისეთ სტრუქტურებს, როგორცაა: ავიაკომპანიები, თავდაცვის სამინისტროს საავიაციო სამხედრო ნაწილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საავიაციო ქვედანაყოფი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო და სხვა საავიაციო საწარმოები. საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ისეთ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება საჭირო ხომალდების მართვის ბაკალავრის კვალიფიკაცია.</p>
<p>პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტების შესრულებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, პილოტ-ინსტრუქტორები და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კერძოდ: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები; ავიონიკისა და ელექტრული სისტემების, ელ-ტექნიკისა და ელექტრონიკის, რადიონავიგაციის, რადიოკავშირის და რადიოლოკაციის, საავიაციო ძრავების, საჭირო ხომალდების ფუნქციური სისტემების, საჭირო ხომალდების კონსტრუქციების თანამედროვე ლაბორატორიები; კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები); ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია თანამედროვე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. ძირითადი პროფესიის სასწავლო კურსების შესწავლისას გამოიყენება CBT-ი. აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო კურსების შესწავლას ვიზუალური დემონსტრირების საშუალებითაც. სტუდენტებს შეუძლიათ ლექციის დასრულების შემდეგ ვიდეო გაკვეთილების დამოუკიდებლად ყურება და ლექციაზე განვლილი მასალის კვლავ გადამეორება. აღსანიშნავია, რომ საფრენოსნო პრაქტიკულ მომზადებას სტუდენტები გადიან თანამედროვე აღჭურვილობის საჭირო ხომალდებზე. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა, პროგრამის განვითარებისთვის 2019 წელს შეიძინა უახლესი, თანამედროვე ორძრავიანი თვითმფრინავი Tecnam P2006T, რომელზეც ხორციელდება სტუდენტების მომზადება. ხოლო 2023 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც 2023 წლის მეოთხე კვარტალში უნივერსიტეტი მიიღებს 3 ახალ Tecnam-ის ტიპის საჭირო ხომალდს რითაც სრულად განაახლებს ავიაპარკს. სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება FNPT II MCC და FNPT II სასწავლო სიმულატორები, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას სახელსაწყო ფრენების მოსამზადებლად.</p>
<p>დამატებითი ცნობები დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე</p>	<p>საჭირო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უნდა აიღოს პილოტის</p>

	მოწმობა. ხოლო კონკრეტულ საჭაერო ხომალდზე საფრენად აუცილებელია საჭაერო ხომალდის ტიპზე გადასწავლება.
საკონტაქტო პირი:	ტატო ლაფაური t.lapauri@ssu.edu.ge



საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1)

პროფესიული პროგრამა

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება (12 კლასი)
	ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი <i>ინგლისური ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტები ადგილზე ჩააბარებენ გამოცდას</i>
	ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა 100/ა
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები. პროფესიული პროგრამის განხორციელების შედეგად ავიასპეციალისტი კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებას მიმართულებით: B1.1 - აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავის კონსტრუქციული ელემენტების, აღჭურვილობის, ფუნქციური სისტემების და ძალური დანადგარის მომსახურება.
დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები	B1.1 - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტს შეუძლია იმუშაოს აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავზე, შესაბამისი მოწმობის ალების მერე (რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად სპეციალისტმა უნდა აიღოს სწავლების დასრულების შემდეგ) შემდეგ პოზიციებზე: o აირტურბინული ძრავების მონტაჟის სპეციალისტი; ტექნიკური მომსახურების ზედამხედველი; ძალური დანადგარების მექანიკოსი; პლანერის მექანიკოსი; აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების მომსახურების ტექნიკოსი; o აირტურბინული ძრავების მქონე თვითმფრინავების პნევმოსისტემის მექანიკოსი;
საკონტაქტო პირი:	ბექა ბუიძე b.buidze@ssu.edu.ge

საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2)

პროფესიული პროგრამა

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 0716
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სრული ზოგადი განათლება (12 კლასი)
	ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატი <i>ინგლისური ენის სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში აპლიკანტები ადგილზე ჩააბარებენ გამოცდას</i>
	ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა 100/ა
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები. პროფესიული პროგრამის განხორციელების შედეგად ავიასპეციალისტი კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებას მიმართულებით: B2 - საჰაერო ხომალდის მოწყობილობების, ავიონიკისა და ელექტრული სისტემების მომსახურება.
დასაქმების სფერო და კარიერული შესაძლებლობები	B2 - საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სპეციალისტს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერი ტიპის სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ავიონიკის ტექნიკოსის პოზიციაზე მოწმობის აღების შემდეგ. პროფესიული პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი

	განათლების ბაკალავრიატის საფეხურზე ინჟინერიის მიმართულებით. ხოლო საერთაშორისო რეგულაციებით განსაზღვრული სტაჟის დაგროვების შემდეგ შეძლებს C კატეგორიის მოწმობის აღებას.
საკონტაქტო პირი:	ბექა ბუიძე b.buidze@ssu.edu.ge



საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია

საბაკალავრო პროგრამა

სტატუსი	აკრედიტებული
კვალიფიკაცია	საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრი 0716
ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები	უცხო ენა (ინგლისური; გერმანული; რუსული; ფრანგული) ქართული ენა და ლიტერატურა მათემატიკა
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების ენა	ქართული შენიშვნა: ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის და EASA-ს სამოქალაქო ავიაციის ტექნიკური პერსონალის მიმართ დადგენილი (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს #2018/1139 რეგულაცია, 04.07.2018 და COMMISSION REGULATION (EU) No 1321/2014) მოთხოვნების გათვალისწინებით, ძირითადი სპეციალობის მოდულის გარკვეული კომპონენტები ისწავლება და ფასდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე.
პროგრამის მიზანი	<p>უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე. აღნიშნული სპეციალობით ბაკალავრიატში სწავლების უმთავრესი მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კურსდამთავრებულს მისცეს ფართო ცოდნა საჰაერო ხომალდების საავიაციო ძრავების და ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის მიმართულებით, რაც საშუალებას მისცემს დაეუფლოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების პრაქტიკული საქმიანობის ასპექტებს; • შეძენილი თეორიული ცოდნისა და უნარების საფუძველზე საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დინამიკურ და სწრაფად ცვლად გარემოში ორიენტირება; • საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბება, პროცესების ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება;

	<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი საავიაციო სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც მიეცემათ იმ თანამდებობებზე მუშაობის შესაძლებლობა, სადაც საჭიროა საავიაციო ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა</p>	<p>საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული სახელმწიფო დოკუმენტის მქონე პირს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით.</p> <p>იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჭიროა განათლების აღიარების დოკუმენტი.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე პროგრამის სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი. აქედან:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 146 კრედიტი; • სავალდებულო არჩევითი კონცენტრაცია EASA B1- 27 კრედიტი; • სავალდებულო არჩევითი კონცენტრაცია EASA B2- 27 კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 14 კრედიტი; • თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები - 21 კრედიტი; • თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 32 კრედიტი.

<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა გაცნობიერება: ბაკალავრი: 1.1 აღწერს საჰაერო ხომალდების ფუნქციური სისტემების დანიშნულებას და მათი შემადგენელი ნაწილების მუშაობის პრინციპებს. 1.2 აცნობიერებს საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების კონსტრუქციას და მუშაობის პრინციპებს; 1.3 ადგენს საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაციის თავისებურებებს; (კონცენტრაცია EASA B2) 1.4 განსაზღვრავს საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების დიაგნოსტიკისა და საიმედოობის ფორმებს და მეთოდებს; (კონცენტრაცია EASA B1)</p> <p>2. უნარები ბაკალავრი: 2.1 ახორციელებს საჰაერო ხომალდებისა და საავიაციო ძრავების ტექნიკურ დიაგნოსტიკას; (კონცენტრაცია EASA B1) 2.2 ახორციელებს საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკურ დიაგნოსტიკას; (კონცენტრაცია EASA B2) 2.3 ასრულებს საჰაერო ხომალდების, საავიაციო ძრავების და ავიონიკის სხვადასხვა სახის (გეგმიური, გაფრენის წინა და მოფრენის შემდგომ) ტექნიკური მომსახურებას, დაზიანებული კვანძებისა და აგრეგატების შეცვლას საექსპლუატაციო დოკუმენტაციის გამოყენებით.</p> <p>3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ბაკალავრი: 3.1 ავლენს ისეთ ღირებულებებს, როგორცა: მაღალი პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, სიზუსტე, ორგანიზებულობა და სამართლებრივი ნორმების დაცვა; 3.2 კომპლექსურ და არაპროგნოზირებად გარემოში, ტექნიკური მომსახურების პირობების ანალიზის საფუძველზე შეუძლია მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირება და საჰაერო ხომალდის საფრენად მზადყოფნაზე გადაწყვეტილების მიღება, ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.</p>
<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია“ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმოებში, ავიაკომპანიებში, სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივ და საერთაშორისო</p>

	<p>ორგანიზაციებში (GCAA, ICAO, EASA), სამთავრობო სტრუქტურების საავიაციო ქვედანაყოფებსა და საავიაციო საწარმოებში.</p>
პროგრამის მიზანი	<p>უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად სადოქტორო პროგრამა „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ ორიენტირებულია საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის ეფექტურობის ამაღლების და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დარგში თეორიულად განსწავლული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.</p> <p>აღნიშნულ პროგრამაზე სწავლების ძირითადი მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> • დოქტორანტს თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე მისცეს სიღრმისეული ცოდნა საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს აღძრული პრობლემების მეცნიერული შეფასებისა და მათი გადაჭრის მეთოდების დამუშავება - განხორციელებისათვის, დარგის ეფექტურობის ამაღლების და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. • დოქტორანტს ჩამოუყალიბოს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა დინამიკურ და სწრაფად ცვლად გარემოში მყისიერი ორიენტაციის უნარ-ჩვევები საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის პირობებში პროცესების და მოვლენების წარმართვისა და მათზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებისათვის. • დოქტორანტს გამოუმუშავოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მოქალაქეობრივი ცნობიერება, რომელიც სტიმულს მისცემს მას მეცნიერული კვლევების მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით გამოავლინოს ის ძირითადი ფაქტორები და პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დარგის განვითარებაზე, დოქტორის კარიერულ ზრდაზე. • დოქტორანტს ჩამოუყალიბოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, მოვლენების მეცნიერული ხედვის, ანალიზის და ობიექტური შეფასების უნარ-ჩვევები, ასევე პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, უახლესი ცოდნის ფლობასთან ერთად, სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი ცოდნის დაგროვების და

	<p>გაღრმავების უნარი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების სფეროში ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა</p>	<p>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომის მქონე პირს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველს არ უდასტურდება ავიაციის ინჟინრის კვალიფიკაცია, სტატუსის მოპოვებისათვის უნივერსიტეტში უნდა ჩააბაროს შიდა სასპეციალიზაციო გამოცდა.</p> <p>პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდამობილობის გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საავიაციო უნივერსიტეტის შიდამარეგულირებელი წესების გათვალისწინებით.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის და პროგრამის გავლის კონკრეტული პირობები განსაზღვრულია „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ შინაარსი შეესაბამება სადოქტორო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 60 კრედიტი და სადისერტაციო ნაშრომი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე პროგრამის სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი. აქედან: სწავლების პირველ წელს სასწავლო კურსებს ეთმობა - 60 კრედიტი ხოლო სწავლების მეორე და მესამე წლებში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტების და სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა, კრედიტების განაწილება:</p> <ul style="list-style-type: none"> ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 27 კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი კვლევითი კომპონენტი - სადისერტაციო ნაშრომი

1. ცოდნა გაცნობიერება:

დოქტორი:

1.1 ფლობს საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და წარმოების პროცესში ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვნად მოქმედ რისკ-ფაქტორების მეცნიერული კვლევების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიღწევებზე დამყარებულ ოპტიმიზაციის თანამედროვე მეთოდებს;

1.2 აღწერს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდებს, ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდელირების მეთოდოლოგიას, ზუსტი და მიახლოებითი გაანგარიშების თეორიებს, თეორიული ცოდნის როლს, კვლევითი პროექტების ეფექტურად წარმართვისა და ხელმძღვანელობის საქმეში;

1.3 იაზრებს განახლებული ცოდნის მიღების მნიშვნელობას საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და წარმოების ტექნოლოგიის სფეროში ათვისებული თეორიებისა და მეთოდების ხელახალი გადაფასების საფუძველზე;

1.4 აცნობიერებს საჰაერო ტრანსპორტის წარმოების პროცესში და საფრენოსნო-ტექნიკური ექსპლუატაციის შედეგად დაგროვილი მონაცემების და სამეცნიერო-კვლევითი ინფორმაციის კრიტიკულად შეფასების მნიშვნელობას, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

2. უნარები

დოქტორი:

2.1. გეგმავს ინოვაციურ და კომპლექსურ ღონისძიებებს, სამეცნიერო-კვლევითი მეთოდებისა და თეორიების გამოყენებით, საავიაციო შემთხვევებისა და კატასტროფების პრევენციის მიზნით.

2.2. იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას საავიაციო შემთხვევების, ინციდენტებისა და კატასტროფების გამომწვევი მიზეზების გადაჭრისათვის, კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე;

2.3. აყალიბებს დასკვნებს და რეკომენდაციებს საჰაერო ტრანსპორტის ფრენის უსაფრთხოების ამალღების უზრუნველყოფისა და კომპანიაში არსებული პრობლემების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, ახალი მიდგომების, კრიტიკული ანალიზის, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების საშუალებით, საჭირო ინფორმაციის მოძიებით მონაცემთა შეგროვების საფუძველზე.

3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა

დოქტორი:

3.1. პროფესიულად აფასებს საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და წარმოების ტექნოლოგიების სფეროში ახალ ცოდნასა და მიღწევებს, თეორიული ან გამოყენებითი საკითხების შესახებ კამათის ან ურთიერთობაში ჩართვის სხვა ფორმით;

	<p>3.2. შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიულ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდებით, შრომით და თავისუფალ გარემოში მოტივაციით ნაკარნახევი პასუხისმგებლური პიროვნული და საზოგადოებრივი ქცევის ფორმებით.</p>
<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიები“ ფარგლებში შექმნილი ცოდნით კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებულ მუშაობას და მიაღწევენ კარიერულ ზრდას ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, სამთავრობო სტრუქტურების საავიაციო ქვედანაყოფებში, საავიაციო სასწავლებლებში და სხვა საავიაციო დაწესებულებებში.</p>
<p>პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: კეთილმოწყობილი, სასწავლო კორპუსები, თანამედროვე ლაბორატორიები და აუდიტორიები; ევროპული სტანდარტებით სერტიფიცირებული საფრენოსნო საწაფები; აეროდინამიკური მილები; ტექნიკური მომსახურების სასწავლო საწარმო, მასში განთავსებული Rolls-Royce RB211 ძრავა და საჰაერო ხომალდი Boeing-737-200, აეროპორტი „მიმინო“ თვითმფრინავების პარკით Tecnam P2006T, Cessna-152, Aerokraft A-22, ქალაქ თელავში; სამეცნიერო კვლევითი ცენტრი მისი ინფრასტრუქტურით; კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები); ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით.</p>
<p>საკონტაქტო პირი:</p>	<p>ნიკა თიკანაშვილი n.tikanashvili@ssu.edu.ge</p>

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამა

სტატუსი	აკრედიტებული
კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0413
ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები	უცხო ენა (ინგლისური; გერმანული; რუსული; ფრანგული) ქართული ენა და ლიტერატურა ისტორია ან მათემატიკა
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზანი	<p>1. მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები, რომლებსაც:</p> <ul style="list-style-type: none"> • ექნებათ ფართო თეორიული ცოდნა კომპლექსური ბიზნეს სამყაროს და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ; • მმართველობითი ტექნიკის გამოყენებით შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აღჭურვილი სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი და ზოგადად ორგანიზაციების პროცესების მართვისათვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით. <p>2. უზრუნველყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვის საკითხების კრიტიკული გააზრება; • მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიტიკური აზროვნების, სანდო და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარების გამომუშავება; • ქართულ და ინგლისურ ენებზე ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოება. <p>3. განუვითაროს, ორგანიზაციის მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლას, როგორც საავიაციო ისე სხვა, კერძო და საჯარო სექტორში.</p>

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვება ასევე შესაძლებელია მობილობის ან შიდა მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. განათლების აღიარების დოკუმენტი იმ პირთათვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების ან საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე პროგრამის სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 170 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები - 24 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 16 კრედიტი.

<p>პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. 2021 წელს კვლავ დინამიკაში მოვიდა ქვეყნის ეკონომიკა და მდგრადი ხასიათი შეიძინა საერთაშორისო საავიაციო რეისების რაოდენობისა და საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემოსული უცხოური ავიაკომპანიების რიცხვის ზრდამ (https://avianews.ge/thithqmis-qhvela-aviakompania-daubrundasaqarthvelos-aviabazars-romlebits-pandemiamde-operirebdnen-aleqsandre-gachechiladze/) და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სფეროს დამსაქმებლებმა განაახლეს ჩვეულ რიტმში ფუნქციონირება. განხორციელდა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, გაანალიზებული იქნა სხვადასხვა დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებზე განთავსებული ვაკანსიები და განხორციელდა კვლევის მეორადი წყაროების ანალიზი. ასევე განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზი, გაიზომა მგზავრთბრუნვის მოცულობა, დაედარა პანდემიამდელ მონაცემებს საქმიანობის ჩვეულ რიტმთან დაახლოვების მაჩვენებლის დადგენის და სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთის მიზნით. პროგრამის კურსდამთავრებულთა სამოქალაქო ავიაციის დარგის ძირითადი დამსაქმებლებს დაეგზავნათ კითხვარები, სამომავლოდ დასასაქმებელი კადრების რაოდენობისა და ამ კადრების მიმართ არსებული მოთხოვნების დადგენის მიზნით. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდება რა ტიპის ცოდნაზე, უნარებსა და კომპეტენციებზეა მოთხოვნა დამსაქმებელთა მხრიდან, რისი გაძლიერებაა საჭირო მოცემულ პროგრამაში რათა დაკმაყოფილებულ იყოს დამსაქმებელთა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე; შრომის ბაზრის კვლევამ, დამსაქმებლებთან კონსულტაციამ, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამის ანალიზმა განსაზღვრა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა. სტრუქტურის ფარგლებში გამოიკვეთა ძირითადი სასწავლო კურსები, არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები სწავლის შესაბამისის შედეგებით და წინაპირობების გათვალისწინებით. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრა მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის განხილვა რამდენიმეჯერ მოხდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შედეგად პროგრამამ მიიღო საბოლოო სახე.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა დარგის/სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან (აქტუალობა)</p>	<p>საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას გადმოიტანოს და დანერგოს ევროპული საკანონმდებლო დოკუმენტები, მათ შორის ევროპული რეგულაცია 1178/2011 „ეკიპაჟის წევრების სერტიფიცირების წესი“. ავიაციის განვითარება ასევე წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს, რომლის დამადასტურებლადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა (მუხლი 2.6, 2.8.4), სადაც საუბარია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაზე ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი აქვს ავიაციის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა, შემუშავებულია ევროპული რეგულაცია 1178/2011-ის</p>

საფუძველზე და უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები

1. ცოდნა გაცნობიერება:

1.1 აღწერს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ თანამედროვე საავიაციო და ბიზნეს გარემოს ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში;

1.2 აყალიბებს მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, მოდელებს, პრინციპებს, ფორმებს და მათ მნიშვნელობას სამოქალაქო ავიაციის დარგისა და სხვა სახის ორგანიზაციების მართვის პროცესში. ასევე მარკეტინგის, ფინანსების, მგზავრის, ბარგის და ტვირთის მომსახურების ძირითად კონცეფციებს.

1.3 განსაზღვრავს ორგანიზაციაში კვლევის მნიშვნელობას, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მონაცემების შეგროვების, რაოდენობრივი ანალიზის, ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებისა და პრობლემის გადაწყვეტის პროცესში.

2. უნარები:

2.1 აფასებს სამოქალაქო ავიაციის და სხვა კომპანიების, როგორც მთლიანი სტრატეგიის (მისია, მიზნები, დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი), ასევე მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს, ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ანალიზის საფუძველზე.

2.2 აანალიზებს ცვალებად გარემოში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ ინოვაციური ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას დასახული მიზნების მისაღწევად;

2.3 აფასებს მწარმოებლურობას სამოქალაქო ავიაციისა და ზოგადად ორგანიზაციების კონტექსტში ოპერაციების სისტემის შეფასების, პროდუქტის შემუშავების დაგეგმვის, შესყიდვების, წარმოების პროცესის და კომპანიის ბიზნესის სტრატეგიების გათვალისწინებით;

2.4 გეგმავს პროექტის განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტს, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური ანგარიშგებების და სხვა მაჩვენებლების შეფასების გზით

2.5 აწარმოებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე სამოქალაქო ავიაციის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:

3.1 იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, სამოქალაქო ავიაციის საწარმოებში და სხვა ორგანიზებაში, მიმდინარე პროცესებში საკითხის გადაჭრის მიზნით მენეჯმენტის სფეროში მიღებული შესაბამისი ცოდნის, კომპეტენციისა და ეთიკური პრინციპების დაცვით;

3.2 განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საჭიროებას და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს.

<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, კერძოდ ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, საავიაციო სატვირთო ტერმინალებში, საავიაციო ქარხნებში, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, საბანკო სექტორსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის სპეციალობით.</p>
<p>პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.</p>
<p>საკონტაქტო პირი:</p>	<p>გიორგი ევგენიძე g.evgenidze@ssu.edu.ge</p>

საჯაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

სტატუსი	ავტორიზებული
კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0413
სწავლის ხანგრძლივობა	4 წელი
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მოამზადოს კვალიფიციური კონკურენტუნარიანი პერსონალი, ბიზნეს და სამოქალაქო ავიაციის გარემოს ფართო თეორიული ცოდნით, სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციების მართვისთვის და მის ფარგლებს გარეთ საჭირო უნარ-ჩვევებით, რომლებიც, მართვის ტექნიკის გამოყენებით, მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 2. განუვითარდეთ სტუდენტს გადაწყვეტილების მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები/უნარები ორგანიზაციის მართვის კონტექსტში, ხელი შეუწყოს კარიერის მშენებლობას სამოქალაქო ავიაციის კერძო და სამოქალაქო სექტორში და მის ფარგლებს გარეთ; 3. ანალიტიკური აზროვნების, სამოქალაქო ავიაციის და მართვის პრობლემების კრიტიკული გააზრების, მონაცემთა შეგროვება-დამუშავება-შესაბამისი და სანდო გადაწყვეტილების მიღების, არგუმენტაციის, ეფექტური სიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების განვითარება.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, უფლება აქვს ისწავლოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე „საჯაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ საქართველოში გაცემულ ან მის ნებისმიერ ექვივალენტს სრული ზოგადი განათლების ატესტატის მფლობელ პირს (მათ შორის, სკოლის აღიარების სერტიფიკატი). ზოგადი ან სრული, გაცემული ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელიც საქართველოს კანონით მიჩნეულია „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ იმ პირზე, ვინც იქ ბოლო ორი წელი სწავლობდა). საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მიღება ასევე შესაძლებელია მობილობის, შიდა მობილობის დებულებით ან</p>

	<p>განათლების აღიარებით საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის შინაგანაწესთან შესაბამისობაში. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი B2 ან უფრო მაღალ დონეზე. განმცხადებელი გასცემს ILTS, TOEFL-ის შესაბამისი ღირებულების სერთიფიკატს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი აწყობს შესაბამის ენის გამოცდას.</p>
<p>პროგრამის სტრუქტურა</p>	<p>პროგრამის შინაარსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 240 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას ახლავს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ადგენს მიმართებას პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ასევე პროგრამის სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 175 კრედიტი • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი • თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები - 14 კრედიტი; • თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 16 კრედიტი.
<p>პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. 2021 წელს კვლავ დინამიკაში მოვიდა ქვეყნის ეკონომიკა და მდგრადი ხასიათი შეიძინა საერთაშორისო საავიაციო რეისების რაოდენობისა და საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემოსული უცხოური ავიაკომპანიების რიცხვის ზრდამ (https://avianews.ge/thithqmis-qhvela-aviakompania-daubrundasaqarthvelos-aviabazars-romlebits-pandemiamde-operirebdnen-aleqsandre-gachechiladze/) და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სფეროს დამსაქმებლებმა განაახლეს ჩვეულ რიტმში ფუნქციონირება. განხორციელდა პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, გაანალიზებული იქნა სხვადასხვა დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებზე განთავსებული ვაკანსიები და განხორციელდა კვლევის მეორადი წყაროების ანალიზი. ასევე განხორციელდა სამოქალაქო ავიაციის დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზი, გაიზომა მგზავრთბრუნვის მოცულობა, დაედარა პანდემიამდელ მონაცემებს საქმიანობის ჩვეულ რიტმთან დაახლოვების მაჩვენებლის დადგენის და სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთის მიზნით. პროგრამის კურსდამთავრებულთა სამოქალაქო ავიაციის დარგის ძირითადი დამსაქმებლებს დაეგზავნათ კითხვარები, სამომავლოდ დასასაქმებელი კადრების რაოდენობისა და ამ კადრების მიმართ არსებული მოთხოვნების დადგენის მიზნით. ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დადგინდება რა ტიპის ცოდნაზე, უნარებსა და კომპეტენციებზეა მოთხოვნა</p>

	<p>დამსაქმებელთა მხრიდან, რისი გაძლიერებაცაა საჭირო მოცემულ პროგრამაში რათა დაკმაყოფილებულ იყოს დამსაქმებელთა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე; შრომის ბაზრის კვლევამ, დამსაქმებლებთან კონსულტაციამ, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტის ანალოგიურ პროგრამის ანალიზმა განსაზღვრა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა. სტრუქტურის ფარგლებში გამოიკვეთა ძირითადი სასწავლო კურსები, არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები სწავლის შესაბამისი შედეგებით და წინაპირობების გათვალისწინებით. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრა მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის განხილვა რამდენიმეჯერ მოხდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, შედეგად პროგრამამ მიიღო საბოლოო სახე.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა დარგის/სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან (აქტუალობა)</p>	<p>საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას გადმოიტანოს და დაანერგოს ევროპული საკანონმდებლო დოკუმენტები, მათ შორის ევროპული რეგულაცია 1178/2011 „ევიპაჟის წევრების სერტიფიცირების წესი“. ავიაციის განვითარება ასევე წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს, რომლის დამადასტურებლადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა (მუხლი 2.6, 2.8.4), სადაც საუბარია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაზე ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი აქვს ავიაციის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა, შემუშავებულია ევროპული რეგულაცია 1178/2011-ის საფუძველზე და უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.</p>
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>1. ცოდნა გაცნობიერება:</p> <p>1.1 აღწერს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ თანამედროვე საავიაციო და ბიზნეს გარემოს ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში;</p> <p>1.2 აყალიბებს მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, მოდელებს, პრინციპებს, ფორმებს და მათ მნიშვნელობას სამოქალაქო ავიაციის დარგისა და სხვა სახის ორგანიზაციების მართვის პროცესში. ასევე მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის, ბარგის და ტვირთის მომსახურების ძირითად კონცეფციებს.</p> <p>1.3 განსაზღვრავს ორგანიზაციაში კვლევის მნიშვნელობას, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, მონაცემების შეგროვების, რაოდენობრივი ანალიზის, ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებისა და პრობლემის გადაწყვეტის პროცესში.</p> <p>2. უნარები:</p>

- 2.1 აფასებს სამოქალაქო ავიაციის და სხვა კომპანიების, როგორც მთლიანი სტრატეგიის (მისია, მიზნები, დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი), ასევე მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს, ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ანალიზის საფუძველზე.
- 2.2 აანალიზებს ცვალებად გარემოში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებულ ინოვაციური ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას დასახული მიზნების მისაღწევად;
- 2.3 აფასებს მწარმოებლურობას სამოქალაქო ავიაციისა და ზოგადად ორგანიზაციების კონტექსტში ოპერაციების სისტემის შეფასების, პროდუქტის შემუშავების დაგეგმვის, შესყიდვების, წარმოების პროცესის და კომპანიის ბიზნესის სტრატეგიების გათვალისწინებით;
- 2.4 გეგმავს პროექტის განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტს, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური ანგარიშგებების და სხვა მაჩვენებლების შეფასების გზით
- 2.5 აწარმოებს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე სამოქალაქო ავიაციის და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან.

3. ავტონომიურობა და პასუხიმგებლობა:

- 3.1 იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, სამოქალაქო ავიაციის საწარმოებში და სხვა ორგანიზებაში, მიმდინარე პროცესებში საკითხის გადაჭრის მიზნით მენეჯმენტის სფეროში მიღებული შესაბამისი ცოდნის, კომპეტენციისა და ეთიკური პრინციპების დაცვით;
- 3.2 განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საჭიროებას და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს.

დასაქმების სფეროები:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში, კერძოდ ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში, საავიაციო სატვირთო ტერმინალებში, საავიაციო ქარხნებში, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმოებში, სადაზღვევო კომპანიებში, სახელმწიფო მართვის ორგანოებში, საბანკო სექტორსა და სხვა დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მენეჯმენტის სპეციალობით.

პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის

განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

საკონტაქტო პირი:

გიორგი ევგენიძე
g.evgenidze@ssu.edu.ge



საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი

სამაგისტრო პროგრამა

სტატუსი	აკრედიტებული
კვალიფიკაცია	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში 0413
სწავლის ხანგრძლივობა	2 წელი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზანი	<ol style="list-style-type: none"> საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადება, რომელსაც ექნება ავია საწარმოების მართვის ინოვაციური მეთოდების, სტრატეგიების შეიმუშავებისა და განავითარების ღრმა და სისტემური ცოდნა. პროგრამა ასევე ორიენტირებულია მოამზადოს საჰაერო ტრანსპორტის მართვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. უზრუნველყოს ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი უნარების მქონე სპეციალისტის მომზადება ავიასაწარმოების სტრატეგიული დაგეგმვის კონტექსტში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება შესაბამისი გამოცდების შედეგების საფუძველზე, რაც საერთო სამაგისტრო გამოცდასთან ერთად ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების ჩაბარებას, ასევე სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.</p> <p>ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.</p> <p>სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.</p>
პროგრამის სტრუქტურა	პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობაა 120 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების

	<p>მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. აქედან: 95 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის, საიდანაც: 20 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს; 10 კრედიტი სასწავლო პრაქტიკას; პროგრამის ფარგლებში 15 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს; ხოლო 10 კრედიტი თავისუფალი კომპონენტებისათვის არის განკუთვნილი.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან</p>	<p>პროგრამის შრომის ბაზართან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი სხვადასხვა სტატისტიკურ (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემთა ბაზა) მონაცემებსა და ფოკუს ჯგუფების საშუალებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. კერძოდ, 2018 წლის მონაცემების თანახმად, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები ჯამში - 5 033 323 მგზავრს მოემსახურნენ, რაც წინა წლის მაჩვენებელს - 23.55%-ით აღემატება, ხოლო 2016 წელთან შედარებით კი - 77.2%-ით არის გაზრდილი. სამოქალაქო ავიაციის ინფორმაციით, 2018 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი - 3 808 619 მგზავრს მოემსახურა, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის - 598 891 მგზავრს, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 52.37%-ით გაიზარდა და 617 373 მგზავრი შეადგინა.1 ქვეყანაში შემოდიან ახალი ავიახაზებიც, მათ შორისაა ირლანდიური დაბალ ბიუჯეტის ავიაკომპანია Ryanair-იც,2 რომელიც თავისი მასშტაბების სწრაფი ზრდის ტენდენციითა მთელს მსოფლიოში ცნობილი. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულების მომსახურებას ესაჭიროება ახალი კადრებიც, რასაც საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დასაქმების სტატისტიკაც ცხადყოფს, უფრო მეტიც, ხშირად მოთხოვნა მიწოდებასაც კი აჭარბებს. ამასთან ერთად დამსაქმებლებთან ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა მაღალია და შენარჩუნდება მომდევნო წლების განმავლობაშიც.</p>
<p>პროგრამის შესაბამისობა დარგის/სახელმწიფოს/საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან (აქტუალობა)</p>	<p>საქართველომ 2010 წელს ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“, რომელიც ავალდებულებს ქვეყანას გადმოიტანოს და დანერგოს ევროპული საკანონმდებლო დოკუმენტები, მათ შორის ევროპული რეგულაცია 1178/2011 „ეკიპაჟის წევრების სერტიფიცირების წესი“. ავიაციის განვითარება ასევე წარმოადგენს მთავრობის პრიორიტეტს, რომლის დამადასტურებლადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამა (მუხლი 2.6, 2.8.4), სადაც საუბარია საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის ჩამოყალიბებაზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებაზე ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან. ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი აქვს</p>

ავიაციის განვითარებას. აღნიშნული პროგრამა, შემუშავებულია ევროპული რეგულაცია 1178/2011-ის საფუძველზე და უზრუნველყოფს ისეთი კადრების მომზადებას, რომელიც აკმაყოფილებს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები

1. ცოდნა გაცნობიერება:

1.1 სიღრმისეულად აღწერს საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიის განვითარების თანამედროვე მიდგომებს; საერთაშორისო საჰაერო სამართლის ნორმებს; განსაზღვრავს ჰაბებს შორის ფრენების ორგანიზების, ავია პარკის დაგეგმვის, რესურსების მართვის, რისკების იდენტიფიცირებისა და დამლევის მეთოდებს.

1.2 სიღრმისეულად მიმოიხილავს გლობალური ავიაბაზრის ცვალებად ბიზნეს გარემოს „ღია ცის“ პოლიტიკის გამოწვევებს, ავია საწარმოებს შორის კონკურენციის ზრდის ტენდენციებს, მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის და ავია პროდუქტზე ხარისხის კონტროლის მნიშვნელობას.

2. უნარები:

2.1 ანალიზებს გლობალური ავიაბაზრის მუდმივად ცვალებად და ტურბულენტურ ბიზნეს გარემოში ორიენტაციის და ავიასაწარმოებისათვის სტრატეგიულ ალტერნატივებს ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. 2.2 მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის გათვალისწინებით განიხილავს საჰაერო ხომალდის ტიპებს, ახდენს საჰაერო ხაზების ქსელის დაგეგმვას; კომერციულ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რისკების შეფასებას; გეგმავს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების პროცესს.

2.3 ანალიზებს ავიასაწარმოების შემოსავლებისა და საფასო პოლიტიკას; ავიასაწარმოების მარკეტინგული გარემოს ანალიზის საფუძველზე, ავია პროდუქტის სპეციფიკის გათვალისწინებით გეგმავს გაყიდვების სტიმულირების, ეფექტური დისტრიბუციის, და მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სტრატეგიას; ავია საწარმოების საოპერაციო და ფინანსური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ამზადებს ოპტიმალური საოპერაციო და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიიღების შესახებ ანგარიშს.

2.4 კვლევის რაოდენობრივი, თვისებრივი მეთოდების და მეცნიერული მიდგომების გამოყენებით ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მოიძიებს ინფორმაციას და კრიტიკულად აანალიზებს, აფასებს და არგუმენტირებულად აყალიბებს დასკვნებს, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

3. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:

	<p>3.1 ავიაციის დარგში, რომელიც ხასიათდება განუსაზღვრელობითა და კომპლექსურებით ახდენს დროსა და სივრცეში განსაზღვრულ გარემოსთან სტრატეგიული მიდგომების ადაპტირებას.</p> <p>3.2 პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში შეაქვს წვლილი; იღებს პასუხისმგებლობას სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, და წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს დამოუკიდებლად.</p>
<p>დასაქმების სფეროები:</p>	<p>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიაში, კერძოდ ავიაკომპანიებში, აეროპორტებში, ავია სააგენტოებში, საავიაციო ქარხნებში, საჰაერო ტრანსპორტის ინდუსტრიაში დარგის ექსპერტებად, სახელმწიფო მართვის ორგანოებში და სხვა დაწესებულებებში, სადაც მოითხოვება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალიზაციით.</p>
<p>პროგრამის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სწავლების პროცესისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამები), ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.</p>
<p>საკონტაქტო პირი:</p>	<p>გიორგი ევგენიძე g.evgenidze@ssu.edu.ge</p>